ხელშეკრულება № 25 /2

ქ. თბილისი 1 მარტი, 2016 წელი

1.ხელშეკრულების დამდები მხარეები.

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ: ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი გამგებლის,მალხაზ ლომთაძის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 222937464, მისამართი: ქ. ამბროლაური, თამარ მეფის ქ N 1), შემდგომში „გამგეობა",

მეორეს მხრივ: საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება (მის: ქ. თბილისი, კახიძის ქ. 15) საიდენტიფიკაციო კოდი 202051536, წარმოდგენილი მისი გენერალური მდივნის მედეა მარღანია-ავალიანის სახით (შემდგომში „საზოგადოება"), ვსარგებლობთ რა ჩვენს შორის 2015 წლის 29 აპრილს გაფორმებული მემორანდუმით მინიჭებული უფლებამოსილებებით ' ' ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2.ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

2.1.1 გამგეობასა და საზოგადოებას შორის გაფორმებული 2015 წლის 29 აპრილის მემორანდუმის საფუძველზე პროგრამის, „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში კატასტროფებისადმი მედეგი თემების განვითარება", განხორციელების მიზნით 3-400 (სამიათას ოთხასი ლარი და 00 თეთრი) ლარის გამოყოფა. დაფინანსება განხორციელდება ორ ეტაპად.

2.1.2 წინამდებარე ხელშეკრულების დადების საფუძველია გამგეობასა და საზოგადოებას შორის გაფორმებული 2015 წლის 29 აპრილის მემორანდუმი.

2.1.3 წინამდებარე ხელშეკრულების 2.1.1 პუნქტში მოხსენებული თანხის მოძიებასა და გამოყოფაზე სრულად პასუხისმგებელია გამგეობა.

3.მხარეთა უფლება–მოვალეობანი

4.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან:

ა) მოითხოვონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

ბ)მონიტორინგი გაუწიონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ხარჯვას

3.2მხარეები ვალდებულები არიან:

ა)დროულად და წერილობით აცნობონ ერთმანეთს ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ.

ბ)ჯეროვნად დაიცვან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

4.მონიტორინგის პირობები

4.1 ხელშეკრულებით გათვლისწინებული პირობების შესრულებას მონიტორინგს უწევენ გამგეობა და საზოგადოება ერთობლივად.

4.2მონიტორინგი გულისხმობს მხარეების უფლებას, შეამოწმონ ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული ვალდებულებების მიმდინარეობა მხარეების მიერ სპეციალურად ამისათვის უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით.

5.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

5.1ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

5.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება
GEORGIAN RED CROSS SOCIETY
#202051536

6.უფლებების გადაცემა

6.1საზოგადოებას არა აქვს უფლება გამგეობის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება მოვალეობანი.

7. სუბ–კონტრაქტორები

7.1იმ შემთხვევაში, თუ სუბ–კონტრაქტორის დადების ანსუბ–კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, საზოგადოებამ წერილობით უნდა აცნობოს გამგეობას ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

7.3ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ–კონტრაქტი არ ათავისუფლებს საზოგდოებას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.ფორსმაჟორი

8.1ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და საზოგადოებისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

8.2ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისიწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაშიხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და გამოინახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებლები იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

GEORGIAN RED CROSS SOCIETY #02051530

9.დავების გადაწყვეტის წესი

9.1ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი ოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

9.2თუ გამგეობა და საზოგადოება ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

10.სხვა პირობები

10.1წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

10.2ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

10.3თუ წინამდებარე ხელშეკრულების რაიმე პირობა გახდა ბათილი, ეს ვერ მოახდენს გავლენას, მთელი ხელშეკრულების ან მისი ცალკეული პირობების ბათილობაზე, მათ იურიდიულ ძალასა და გამოყენებადობაზე.

11.მხარეთა ხელმოწერა

გამგეობა:	საზოგადოება:
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა :	საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება გენერალური მდივანი:
მალხაზ ლომთათიძე	მედეა მარღანია–ავალიანი